

---

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდიში 2009 წლის 10 ივნისს  
გამართული საჯარო დისკუსია თემაზე:  
„საბჭოთა წარსული და სტალინიზმის გააზრების  
პრობლემები“

---

ძირითადი მომხსენებლები:

ლევან გიგინეიშვილი – ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ნინო ბეჟიშვილი – ჟურნალი „ლიბერალი“  
ილამაზ მიწიშვილი – საზოგადოება „მემორიალი“

---

მოდერატორი: გოგი გვახარია

---

**ნინო ლეჟავა** – დღევანდელი დისკუსიის თემა გახლავთ „საბჭოთა წარსული და სტალინიზმის გააზრების პრობლემები“; დღეს განსაკუთრებული დღეა, რადგან გარდა დისკუსიისა, წარმოგიდგენთ წიგნს, რომლის შედგენას და გამოცემას სამ წელზე მეტ ხანს მოვუწოდებთ. ეს წიგნი გახლავთ „ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან“. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ამ წიგნის თანაავტორები ჩვენთან იმყოფებიან.

რას ნიშნავს „ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები“? მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში არსებობდა ე.წ. „გულაგის“ საპატიმრო ბანაკების კარგად ადმინისტრირებული სისტემა. ამ ბანაკებიდან ერთ-ერთი იყო სწორედ „ალჟირი“. ეს არის რუსული აბრევიატურა და იმიფრება, როგორც Акмолинский Лагерь Жен Изменников Родины. ამ ბანაკში ხვდებოდნენ მხოლოდ ის ქალები, რომლებიც ე.წ. „სამშობლოს მოღალატეების“ ცოლები იყვნენ და შესაძლოა, გასამართლებულები, დაპატიმრებულები ისინი მხოლოდ იმიტომ გასამართლეს, დააპატიმრეს და გადაასახლეს რომ ე.წ. „სამშობლოს მოღალატეების“ ცოლები იყვნენ. მათი საბრალდებო დასკვნა სრულდებოდა სტანდარტული ფორმულით: „ცხოვრობდა ქმართან ერთად ამდენი და ამდენი წელი, მისთვის ცნობილი იყო მის მიერ წარმოებული კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ, მაგრამ საგამოძიებო ორგანოებს არ შეატყობინა.

მე ხელში მიჭირავს მეორე წიგნიც, რომელიც გამოსცა საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალმა“, ე. წ. რუსულმა „მემორიალმა“. ამ წიგნს ეწოდება „Узницы АЛЖИРА“. ამ წიგნში შესულია ე.წ. ბანაკის კატალოგი, ანუ, ინფორმაციული მონაცემები ალჟირის ბანაკის პატიმრების შესახებ. პატიმრების, რომლებიც 30-იან და 40-იან წლებში მოხვდნენ ამ ბანაკში. აქ მითითებულია მათი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, კონკრეტული მუხლი, რომლითაც იყვნენ ისინი გასამართლებულნი, და რა პერიოდში იმყოფებოდნენ ამ ბანაკში. როდესაც ნახავთ, თუ რა მოცულობისაა ეს წიგნი და რა მცირე აბზაცებისგან შედგება თითოეული ქალის ბიოგრაფია, წარმოდგენა შეგექმნებათ იმაზე, თუ რამდენი ადამიანი მოხვდა ამ ბანაკში. მას შემდეგ, რაც გავეცანით ამ გამოცემას, თვალში მოგვხვდა ის, რომ ამ ქალებს შორის ძალიან ბევრი იყო გადასახლებული საქართველოდან. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ეს ისტორიული დოკუმენტაცია ქართული ისტორიული ნაწილით შეგვეკვსო. მე მხოლოდ ქართული წარმოშობის ოჯახების ისტორიას არ ვგულისხმობ. როდესაც ჩავიწერეთ ბანაკებიდან დაბრუნებული ქალების შვილებთან ინტერვიუები, თვალში თვალში მოგვხვდა რომ სტალინური რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების აბსოლუტურად ყველა სოციალურმა ფენამ გაიარა. ამ წიგნში თქვენ შეხვდებით ქართული, სომხური, ბერძნული, უკრაინული, რუსული, გერმანული ოჯახების ისტორიებს. მაღლობელი ვარ ჩვენი ინტერვიუებისა, რომლებმაც გამოიჩინეს მოთმინება რამდენიმე წლის განმავლობაში და დაელოდნენ ამ წიგნის გამოცემას, დღეს კი, ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მობრძანდნენ ჩვენთან.

მაღლობა მინდა გადავუხადო ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის 2004 წლის სტიპენდიანტებს, მაკა ლევიცკის და მარიამ სეხნიაშვილს, რომლებმაც ჩაიწერეს ეს ისტორიები და დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ წიგნი შედგა. აქ გარდა წერილობითი ტექსტებისა, შეხვდებით ფოტო დოკუმენტაციასაც. შევეცადეთ ვიზუალური მასალაც შეგვეკრიბა და წარმოგვედგინა თქვენთვის. ვთვლი, ეს საინტერესო დოკუმენტია იმ პერიოდის კულტურისა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს ისტორიას ასახავს.

ახლა სიტყვას გადავცემ გოგი გვახარიას, რომელიც გაუძღვება დღევანდელ დისკუსიას.

**გოგი გვახარია** – კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს დაიწყო დისკუსია სტალინის და მისი ეპოქის მემკვიდრეობაზე. ძალიან მტკივნეული და სევდიანია, რომ დღევანდელ დისკუსიას „სტალინიზმის გააზრების პრობლემები“ ჰქვია. ამდენი ხნის გასვლის შემდეგაც კი,

სტალინიზმის საქართველოში არ გაუაზრებიათ განსხვავებით რუსეთისგან, სადაც 80-იანი წლების ბოლოს ამ თემაზე სერიოზული დისკუსია დაიწყო. ჩემი და უფროსი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს, როდესაც „პერესტროიკის“ პერიოდში, რუსეთში ეს დისკუსია მიმდინარეობდა, საქართველოში მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო. ქართული ინტელიგენციის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევდა, რომ რუსეთში სტალინიზმის ახლებური შეფასება და გააზრება, ფაქტობრივად, ანტიქართული ტენდენცია იყო. მახსენდება გიგა ლორთქიფანიძესთან ინტერვიუც, სადაც ის ამბობდა, რომ სტალინი ქართველია და როდესაც რუსები ცდილობენ პიროვნების კულტის წინააღმდეგ გამოხატონ თავიანთი პოზიცია, ეს ანტიქართული რიტორიკაა.

მას მერე ამ პრობლემის შესახებ საუბარი არ ყოფილა, თუმცა სტალინიზმის ნიშნებს ჩვენს კულტურაში, მედიაში, მენტალობაში, პოლიტიკაში, ნამდვილად ვხედავთ.

მოდით, ახლა ლევან გიგინეიშვილს მოვუსმინოთ.

**ლევან გიგინეიშვილი** – როდესაც ამ პროექტზე მუშაობა შემომთავაზეს, ზოგადისა და კონკრეტულის კავშირმა დამაინტერესა. მნიშვნელოვანია, ტოტალიტარიზმი როგორ გადატყდა კონკრეტული ადამიანების ბედად. ამ წიგნში ნახავთ ცოცხალ, ემოციურ, შეულამაზებელ ინტერვიუებს. ჩანს, რომ არაფერია შესწორებული. როგორც საუბრობენ, ისეა დატოვებული. ძალიან საინტერესო იყო ამ ადამიანების მოგონებების წაკითხვა და მათი ტოტალიტარიზმთან დაკავშირება.

37 წელზე პირველად ლაპარაკი „მონანიების“ გარჩევის გამო დაიწყო „ლიტერატურნაია გაზეტაში“. იწერებოდა სხვადასხვა რეცენზიები. ბოლოს, ერთ-ერთმა რეცენზენტმა გაბედა და თქვა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მოვრჩებოდით თამაშს და ვიტყვოდით, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ამა და ამ კონკრეტულ წელსო. ეს 1987 წელს ითქვა. ქართველებსაც მიუძღვით რაღაც წილი ტოტალიტარიზმზე საუბრის დაწყებაში. საბჭოთა კავშირში ეს დისკუსია თენგიზ აბულაძის ამ ფილმმა გახსნა. შესაძლოა, საქართველოში თავიდან არ იყო ეს დისკუსია ძალიან მძაფრი. მახსოვს, რუსებმა ერთხელ რაღაც სპექტაკლი ჩამოიტანეს, სტალინის როლის შემსრულებელს ყველაზე მეტი ყვავილი მიართვეს, რაც სამარცხვინო იყო. მაგრამ „მონანიება“ მართლაც იყო ფილმი, რომელმაც ამ თემაზე დისკუსია დაიწყო. თუმცა, ხალხი 1937 წელზე ჯერ კიდევ სრუშჩოვის დროს ალაპარაკდა. იუმორისტული მოთხრობაც დაიწერა. შვილი ეუბნება მამას, „Отец, потолокuem“, რა გაწუხებსო, მამა ეკითხება. შვილი პასუხობს: „Сердце гложет одна проблема - был ли когда-то 37-ой год?“ მამის პასუხია: „Нет, сынок, после 36-го сразу наступил 38-ой.“ ანუ, მაშინაც დაიწყო ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ მალევე ჩაკვდა.

ტოტალიტარიზმის ბუნება უპირველესად პიროვნების ნიველირებას გულისხმობს, პიროვნების გაუქმებამდე მისულ უპატივცემულობას, პირადი მსჯელობის სივრცის გაუქმებას. ამ დროს გულწრფელად აღარ შეგიძლია იმის თქმა, რისიც გწამს. იღია ჭკავჭკავად ამბობდა, მართალი ადამიანი ის კი არ არის, ვინც სიმართლეს ამბობს, არამედ ის, ვინც გულწრფელად ამბობს იმას, რაც, სჯერა, რომ სიმართლეაო. ეს სივრცე ქმნის დემოკრატიას. თუ ეს სივრცე არ არის, იქ დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ სივრცეს აუქმებს ტოტალიტარიზმი რაღაც ბედნიერების, იდეის სახელით. იდეა უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე პიროვნება და მისი გამოხატვის, თავისი სიმართლის თქმის უფლება. ჩვენ არ ვიცით, რა არის აბსოლუტური სიმართლე, ამიტომ ვამბობ „თავისი სიმართლის“ უფლებას. ტოტალიტარიზმი აბსოლუტურ სიმართლეს იჩემებს. ამბობს, რომ ის არის აბსოლუტური სიმართლე და შენ შენი პირადი აზრი უნდა შეწირო ამ „ჭეშმარიტ“ აზრს.

ტოტალიტარულ მოდელს, როცა ფილოსოფოსი ხედავს, რა არის ჭეშმარიტი და ის უწესებს თავის სახელმწიფოს, რა გააკეთოს, პლატონს აბრალებენ. მოდელი მართლაც მსგავსია, მაგრამ პლატონთან აქცენტები განათლებაზე კეთდება. ჯერ უნდა გაანათლო ხალხი, რომ მან შინაგანი მოტივაციით გააკეთოს რაღაც და არა გარეგანი ძალდატანებით. მოდელი, იმ

გაგებით, რომ ვიღაც გიწესებს, რა არის ჭეშმარიტება, და ამით მიყავხარ ბედნიერებისკენ, ტოტალიტარულია. გამოდის, რომ შენ ბედნიერებას ირჩევ თავისუფლების ნაცვლად. არადა, იქ არ არის თავისუფლება, სადაც შენი ბედნიერების გზას რაღაც ორგანოს გადააბარებ. დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორის“ ლეგენდა ამაზეა. ტოტალიტარიზმს ქმნის თავისუფლების და პირადი პასუხისმგებლობის შიში. დოსტოევსკის პესიმისტური პროგნოზი აქვს გამოთქმული, რომ ადამიანების უმეტესობა ასეთები არიან და მათ თავიანთი არჩევნის ტვირთი, ურჩევნიათ, სხვას გადააბარონ. მაგრამ სადაც არ არის თავისუფლება, კანკალი დაუდგენლობის წინაშე, რომ შენ თვითონ უნდა აირჩიო შენი გზა, თუნდაც შეცლომით, იქ არ შეიძლება ბედნიერება იყოს. კატეგორიების ჩანაცვლება ხდება. შეიძლება თქვა, რომ ფიზიკური ამარცხებს სულიერს, იმიტომ, რომ თავისუფლებაა სულიერი, და ბედნიერება, რაც არ უნდა თავშეწირულ იდეად დასახო, მაინც მატერიალური გამოდის, იმიტომ რომ შენ თავისუფლებაზე, ყველაზე ფუნდამენტურზე ადამიანში, ამბობ უარს. ეს ხდებოდა სტალინის დროს.

სტალინი ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი სახეა. შეიძლება ის არც იყოს ტოტალიტარიზმის ყველაზე საშინელი, ჯოჯოხეთური სახე. ტოტალიტარიზმი მანამდეც იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი თავის თავისუფლებას სხვას გადააბარებს, უარს ამბობს თავისუფლებაზე კომფორტის გამო, იქ ჩნდება ტოტალიტარიზმის საშიშროება. იმიტომ რომ თავისუფლების ატროფია იჭრება შენს ცხოვრებაში და შენ თუ თანხმდები ამას, შესაძლოა, ეს გახდეს ტოტალური შემოჭრა შენს ცხოვრებაში. როცა გეკრძალება ფიქრი და იმის თქმა, რომ ორჯერ ორი ოთხია. ორუელის ცნობილი გამოთქმაა, „თავისუფლებაა თქვა, რომ ორჯერ ორი ოთხია“, ანუ, თქვა ის, რაც გწამს, რომ სიმართლეა. საინტერესოა, სტალინის პერიოდში რამ გამოიწვია ეს მომენტი. სტალინმა მოახერხა ის, რომ მართლმადიდებლური რელიგია რუსულ მენტალობაში ჩაანაცვლა კომუნისტით, სადაც ეკლესიის ადგილს იკავებს პარტია. პარტია კი, იგივეა სტალინის ნებასთან. გამოდის, რომ სტალინი არის „УМ, ЧЕСТЬ И СОВЕСТЬ НАШЕЙ ЭПОХИ“, ანუ, სტალინი არის გონებაც, სინდისიც და ღირსებაც ჩემი ეპოქის. პარტიულმა ღირსებამ ჩაანაცვლა პიროვნული ღირსება. ასეთ დროს ჩემს ღირსებად ითვლება ის, რომ პარტიის დავალება ხუთიანზე გავაკეთო. მაგრამ თუ ისე ვცდილობ მოქცევას, როგორც ამას ჩემი პირადი ღირსება მკარნახობს, მაშინ პირიქით, გწყდება ღირსებას, რადგან ღირსების წყარო პარტიაა თავისი იდეოლოგიით. მაშინ ითვლება, რომ მე ნაძირალა ვარ და ხალხის მტერი. ყველაზე საშინელი ტოტალიტარიზმში არის ის, რომ სინდისის ჩანაცვლება ხდება რაღაცის სახელით. ეს შეიძლება კომუნისტურ და ბედნიერი მომავლის შენებას უკავშირდებოდეს. ბერდიაევი ამბობდა დოსტოევსკიზე, რომ მან შენიშნა, რომ კომუნისტებმა მოყვასის ქრისტიანული სიყვარული შორეული, ჯერ დაუბადებელი ადამიანის მიმართ სიყვარულით შეცვალეს. ჯერ დაუბადებელი ბავშვების სახელით, იმ ბავშვების სახელით, რომლებმაც კომუნისტში უნდა იცხოვრონ, კლავდნენ ან ასახლებდნენ კულაკებს. კონკრეტული ადამიანის სიცოცხლე, მისი ღირებულება ნიველირდა იმის ფასად, რომ სადღაც რაღაც ზოგადი არსებობს.

კიდევ ერთი მომენტი, რისი სახელითაც სპობენ თავისუფალი მსჯელობის სივრცეს, არის გარეშე მტერი. რა დროს ადამიანის უფლებებზე ლაპარაკია, როცა მტრები გყავს გარშემო. ამ დროს უნდა დავივიწყოთ ყველა სხვა საკითხი და ერთიანი ძალებით შევებრძოლოთ ამ გარეშე ძალას. ასე იყო სტალინის დროსაც, როცა მტრების ისტერია შეიქმნა, ზოგადი შიშის ატმოსფერო ჩამოწვა. ადამიანებს ეშინოდათ ერთმანეთთან გულწრფელი ლაპარაკის. ასეთი საუბრის სივრცე მოისპო. ასეთი იყო სტალინიზმის ნიშნები. ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ არა მარტო ძალაუფლების კენწეროა ამაში დამნაშავე; პასუხისმგებლობა იმ ადამიანებზეც გადმოდის, რომლებიც იგუებენ ამ ყველაფერს, და ამ თანდათანობითი დათანხმებით სიმართლის ატროფია ემართებათ. სტალინიზმის კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორი, რობერტ კონკვესტი ამბობდა, რომ ყველაზე დიდი საშინელება, რაც სტალინმა გააკეთა, არის ის, რომ ადამიანებში მოსპო სიმართლის განცდა. იდეოლოგია

ხდება სიმართლე და შენს სიმართლეს ძალა ეკარგება. სიმართლის დაცვის აზარტი ყველაზე მნიშვნელოვანი აზარტია ადამიანში. უამისოდ ადამიანი ღირსეული არ არის. აზარტი ქრება, როცა თანდათანობით ეჩვევი იმას, რასაც გარედან გეუბნებიან.

ჩემთვის, ამ ინტერვიუების კითხვის დროს, ძალიან საინტერესო იყო იმის აღმოჩენა, რომ ადამიანებს, რომლებსაც ასახლებდნენ, არ აქვთ სოციალიზმის ალტერნატიული მოდელი. სოციალიზმის ყველას სჯერა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ სოციალიზმი უნდა იყოს. მხოლოდ ერთი ინტერვიუ იყო, სადაც სოციალიზმში ეჭვი შეჰქონდათ. ძირითადად, ამტყუნებდნენ სტალინს და ამართლებდნენ სოციალიზმს, ან ამართლებდნენ ლენინს და ამტყუნებდნენ სტალინს. როგორც ჩანს, ეს არის იმის მიზეზი, რომ რუსეთის იმპერიაში არ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება. „ობშჩინური“ მენტალობა ძალიან ძლიერი იყო რუსეთში, ამიტომ კომუნიზმმა, სოციალისტურმა მენტალობამ მკვიდრად მოიკიდა იქაურ მოსახლეობაში ფეხი. ბევრს გულწრფელად სჯეროდა, რომ შეიძლებოდა საკუთარი ნების დელეგირებით პარტიაზე, რომელიც უსახავს, რა არის ჭეშმარიტება, და ამ ჭეშმარიტის ერთად კეთებით, ყველანი ერთად გაბედნიერდებოდნენ. ეს ამ ინტერვიუებშიც ჩანს.

ძალიან ღრმა და რთული თემაა და კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ჩემი ინტერესი ამ წიგნის მიმართ, ძირითადად ამით იყო განპირობებული, რაზეც გესაუბრეთ. ყველაზე საინტერესო ჩემთვის ზოგადის და კონკრეტულის, ტოტალიტარიზმისა და კონკრეტული ადამიანის ბედის ერთმანეთთან მიმართებაა. ეს ამ წიგნში კარგად არის ასახული. კარგი იქნება, თუ ყველანი წაიკითხავთ ამ წიგნს, რადგან ტოტალიტარიზმი არ არის ის, რაც იყო და აღარასოდეს განმეორდება. სადაც არ ხდება პიროვნული განვითარება, და პიროვნული ღირსების ჩამოყალიბება, იქ ყოველთვის იქნება ტოტალიტარიზმის გაჩენის შანსი. ამიტომ, ეს წიგნი გაფრთხილებასავით არის.

მე ვსწავლობდი ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. ეს უნივერსიტეტი შეიქმნა იმისთვის, რომ სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებულიყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. საინტერესოა, რომ უნივერსიტეტი არის იმ შენობაში, სადაც ადრე იყო უნგრეთის “კგბ”. სადაც ახლა კომპიუტერის ლაბორატორიებია, ადრე აწამებდნენ განსხვავებულად მოაზროვნეებს. უნივერსიტეტის ამ შენობაში ყოფნაც გაფრთხილებასავითაა, რომ ყოველთვის შეიძლება ამ ყველაფრის გამოვლენა, თუ არ იქნება ძალისხმევა. დემოკრატია არის განუწყვეტელი ძალისხმევა, სადაც ეს ძალისხმევა არ არის, იქ ყოველთვის ჩნდება ტოტალიტარიზმის საფრთხე.

**ვოგი გვაზარია** – გმადლობთ. ახლა ნინო ბექიშვილს მოვუსმინოთ. იგი მუშაობდა ამ წიგნზე და ალბათ ამ ტექსტებზე მუშაობის პერიოდსაც გაიხსენებს.

**ნინო ბექიშვილი** – ამ წიგნზე მუშაობა ჩემთვისაც ნამდვილად ძალიან საინტერესო იყო. ეს თემა ყოველთვის მაინტერესებდა; ჩემი ახალგაზრდობა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა საბჭოთა კავშირი დაიშრა და ყოფილ საბჭოთა ადამიანებს სტალინიზმზე ხმამაღლა ლაპარაკის საშუალება მოგვეცა. ვიდრე უშუალოდ წიგნზე ვისაუბრებდე, დისკუსიის თემაზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა.

გალაკტიონის მოგონებების წიგნში, რომელიც სწორედ 80-იან წლებში გამოიცა, ასეთ სიტყვებს წავაწყდი; გალაკტიონი ამბობს, არჩევანი რომ მქონოდა კომუნიზმსა და ფაშიზმს შორის, აუცილებლად კომუნიზმს ავირჩევდიო. არ ვიცი, ეს ფრაზა საბჭოთა ცენზურას როგორ გაეპარა, მაგრამ მასში იმ თაობის ადამიანების ტრაგედია ჩანს, რომელსაც არჩევანი არც ჰქონდა და იძულებული იყო, დამორჩილებოდა იმ წესებს, რასაც პარტია და ტოტალიტარული სისტემა უყენებდა. თუმცა, იყვნენ გამონაკლისები ... ჩემთვის იმ დროიდან შემორჩენილი ყველაზე დიდი ძეგლი არის მწერალთა კავშირი, სადაც პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა.

სტალინიზმი, ისევე როგორც ბევრი რამ, ქართველებს ნამდვილად არ გავგაზრებია. მცდელობები იყო, მაგრამ ამ დარბაზში მსხდომთა უმეტესობაც სტალინიზმს უფრო რუსი

ავტორების მოგონებებიდან და პირადი წერილებიდან იცნობს, ვიდრე ქართული წყაროებიდან. ჩვენ ყველას გვეკონდა მოლოდინი, რომ გაიხსნებოდა რკინის ფარდა და გამოჩნდებოდა დიდი ქართული ლიტერატურა ამ თემაზე, მაგრამ ეს ლიტერატურა ვერ ვნახეთ. მხოლოდ რამდენიმე წიგნი შემიძლია გავიხსენო. მას შემდეგ, რაც საქართველო გათავისუფლდა, იმდენი რამ გარდაგვხდა, რომ როგორც ჩანს, ამ თემისთვის, ვერ მოვიცალეთ. ბოლო დროს ამ თემაზე გავიხსენებდი გოგი გვახარიას ორ გადაცემას, „წითელ ზონას“, „დიდი ათეულის“ ერთ გადაცემას სტალინის ხმზე. სტალინი, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, საქართველოში ისევე უყვართ, განსაკუთრებით ქართლის სოფლებში. მაგრამ იმ ქართველების ცნობიერებამ, ვისაც შევხვედრივარ, სტალინის ხატებას დაუმატა და შეურწყა დავით აღმაშენებელი და ზვიად გამსახურდია. შესაძლოა, ცოტა ცინიკურად ჟღერს, მაგრამ ეს თითქოს ტიპოლოგიურად ერთი სახის სიყვარულია. დავინტერესდი და ვნახე, როგორ ასწავლიან სკოლაში სტალინის შესახებ. ძალიან სქემატურად არის ეს თემა შეტანილი მე-9 და მე-12 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოებში. ალბათ ამ ყველაფრის შედეგია ის, რომ ქართველი თინეიჯერები თავიანთ საიტზე [www.teen.ge](http://www.teen.ge) სტალინზე ისე წერენ, როგორც თემურ ლენგზე ვილაპარაკებდით. არ იგრძნობა, რომ შესაძლოა, მათი წინაპრები ყოფილიყვნენ ამ რეპრესიების მსხვერპლი. შეიძლება ჩემი წარმოდგენა მათზე ზედაპირულია, რადგან ეს საიტი მხოლოდ ერთ თემას ეხება, სადაც რამდენიმე მოზარდი წერდა, მაგრამ იქ იყო ასეთი ფრაზები: „სტალინი იყო დიდი ადამიანი“, „მართალია, ტირანი იყო, მაგრამ დიდი სახელმწიფო შექმნა“. ეს კლიშეები, როგორც ჩანს, დღეს კიდევ მუშაობს.

რაც შეეხება ისტორიის გააზრებას. ალბათ, პრობლემა იყო ისიც, რომ ჰუმანიტარული მეცნიერება ჩვენში მოკვდა უსახსრობის გამო, ან იმის გამოც, რომ ის ადამიანები, ვისაც შეეძლო ამ თემის გამოკვლევა, არასამთავრობო სექტორში გადავიდნენ. ნიშანდობლივია ის, რომ ჩვენ არ მიგვიღია ლუსტრაციის კანონი და თავად საზოგადოებიდან არ ყოფილა ამის მოთხოვნა. ამაზე სულ მახსენდება ივლიანე ხაინდრაკას ნათქვამი, რომ ამ კანონის მიღებამდე ჩვენ, ერთდროულად, მსხვერპლიც ვართ და ჯალათებიც. მისივე თქმით, ლუსტრაციის კანონის ოკუპაციის მუხეუმით ჩანაცვლება ცინიზმია. ალბათ იმ წნეხის გამო, რომელშიც ამდენი წელი მოუხდათ ცხოვრება, ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად იტანს ამ ცინიზმს.

შარშან აგვისტოში სტალინის სახელი ისევ გახდა აქტუალური. მაშინ სტალინის ძეგლს რუსების არც ერთი ჭურვი არ მოხვედრია. მახსოვს, ხელისუფლება თითქოს შეეცადა ამ ძეგლის აღებას, მაგრამ ამ თემაზე საუბრები მალევე სრულდებოდა. არ ვიცი, შესაძლოა, რომელიმე თქვენგანი ესწრებოდა კიდევ შარშან ბიოლის ფონდში ამავე თემაზე გამართულ დისკუსიას: გიორგი მაისურაძემ თავის მოხსენებაში სტალინი თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნია. ამ სიტყვებმა მაშინ კამათი გამოიწვია. ის ნაციონალიზმი და იდეოლოგია, რასაც დღევანდელი ხელისუფლება თუ ოპოზიცია თავს გვახვევს, ტოტალიტარული იდეებით იკვებება. ყოველ შემთხვევაში, მათში ამის მარცვალი არის. ერთ მაგალითს გავიხსენებ. ეს არის მაჰმადიანი მესხების საკითხი. ისინი სტალინმა გაასახლა საქართველოდან. საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე მათი დაბრუნების ვალდებულება აქვს აღებული, მაგრამ ამ ადამიანების სახელი ქართულ პოლიტიკასა და სივრცეში მხოლოდ ორ კონტექსტში ისმის. ეს თემა მუდმივად ხდება პოლიტიკური სპეკულაციის საგანი. ამხელა პოლიტიკურ სპექტრში მათ გამომსარჩლებელი არ გამოუჩნდათ. ერთხელ ამაზე ნაირა გელაშვილმა თქვა, რომ როდესაც სტალინის მიერ გასახლებულ ადამიანს ხელახლა ასახლება, და არ იღებ, სტალინზე უარესი ხარო. კიდევ მინდა გავიხსენო რეზო ინანიშვილის ერთი ფრაზა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რადგან ამაზე მას არ დაუწერია და მის ნათქვამს ბავშვობაში შევესწარი. ამ ფრაზამ ჩემთვის განსაზღვრა სტალინთან და სტალინის ტეტთან დამოკიდებულება. რეზო ინანიშვილის თქმით, სტალინი საქართველოში მას უყვარს, ვისაც სულში პატარა სტალინი უზის. წარმოვიდგინე ის ადამიანები, ვისაც მაშინ აქტიურად ვეკამათებოდი სტალინის ხმზე. ესენი იყვნენ ხელოსნები,

რომლებიც ჩვენს სახლში მუშაობდნენ ან ჩემი ისტორიის მასწავლებელი და უცებ ისე შემეცოდნენ ისინი, რომ მათთან იმის მერე ამ თემაზე ხმა აღარ დამიდრავს.

ეს წიგნი ბევრი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, იმით, რომ ჩვენს საზოგადოებას აძლევს იმის საშუალებას, რომ ზეპირი ისტორიების და ნამდვილი ნაამბობის საშუალებით გაეცნოს იმ ეპოქას. ამ ისტორიებში მთელი სპექტრია გადაშლილი და ძალიან ბევრი რამის ამოკითხვა შეიძლება, დაწყებული საერთო, ზოგადი ფონიდან, კონკრეტული ადამიანების ამბებით დამთავრებული. საერთოდ, ქალი საპატიმროში, შემზარავი და მძიმე წარმოსადგენია და მით უმეტეს, ქალები, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ და რომლებსაც მიღებული ჰქონდათ ის რეალობა, რომელიც მათ ირგვლივ იყო და რომლისაც სჯეროდათ. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ძალიან ძნელი წასაკითხია, როდესაც ქალი ამდენი წლის მერე ბრუნდება ბანაკიდან და თავის შვილს ეკამათება იმაზე, რომ სტალინი მართალი იყო. აქ ალბათ შეიძლება გავიხსენოთ მოვლენა, რომელსაც შემდეგ „სტოკჰოლმის სინდრომი“ დაარქვეს და რაც იმაში გამოიხატება, რომ გარკვეული ხნის შემდეგ მსხვერპლს უყვარდება თავისი ჯალათი.

ლევან გიგინეიშვილის შესავალი წერილის მნიშვნელობაზე აღარაფერს ვიტყვი, მაგრამ მინდა აღვნიშნო ალექსანდრ დანიელის და არსენი როგინსკის პატარა წერილი, რომელიც იმის ნიმუშია, როგორ უნდა იკვლიო ისტორია, როგორ უნდა წერო დოკუმენტებზე დაყრდნობით. ეს წერილი პროფესიონალიზმის, საქმის სიყვარულის და ცოდნის ნიმუშიცაა.

რაც შეეხება რუსეთს, იქ ერთი მხრივ, სერიოზულად საუბრობენ სტალინის წმინდანად კანონიზაციის შესახებ; რუსეთის საპატრიარქოში მთელი არმიაა ეპისკოპოსების, რომლებიც ამას ემხრობიან, ამაზე მოხსენებებით გამოდიან. მეორე მხრივ, არის საერთაშორისო საზოგადოება „ემპორიალი“, რომლის საიტზეც ამომწურავი მასალა დევს იმ ეპოქის შესახებ, აქ ნახავთ მოგონებებს, გამოკვლევებს, რეპრესირებულთა სიებს, რადიო-გადაცემების ჩანაწერებს. რუსული „ემპორიალი“ უფროსკლასელებისთვის მართავს კონფერენციებს ამ თემაზე. ამ ბავშვების მიერ მომზადებული თემების ჩამონათვალი რომ ვნახე, ძალიან დამწყდა გული, რომ საქართველოში არაფერი ასეთი არ ხდება.

**გოგი ვვაზარია** – ალბათ ეს ბოლო წინადადება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვქონია ბ-ნ ილამაზთან საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოება „ემპორიალის“ როლი დღეს. როდესაც, მაგალითად, ისეთი ცნობილი ფიგურა ქართული კინოსი, როგორც რეზო ჩხეიძეა, ამბობს, რომ სტალინმა გადაარჩინა მართლმადიდებლური ეკლესია და აუცილებელია გადავიღოთ ფილმი, რომელშიც სტალინი დიდ მორწმუნედ იქნება წარმოდგენილი, ამას საზოგადოების რეაქცია არ მოჰყოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ არ იცის ვინ არის სტალინი და რომ პასიურობს საზოგადოება „ემპორიალიც“. ამაზე მაშინ ბ-ნმა ილამაზმა მითხრა, რომ სამწუხაროდ, ხელისუფლება არანაირ დახმარებას არ უწევს ამ ორგანიზაციას, არ არის დაინტერესებული ამ ორგანიზაციით. ხელისუფლებას ეს საზოგადოება ალბათ მხოლოდ საკუთარი რეკლამირებისთვის დასჭირდებოდა.

ჩემი აზრით, ჩვენს საზოგადოებას სტალინის შესახებ უფრო მითიური წარმოდგენა აქვს. ლევანმა ახსენა ფილმი „მონანიება“ და მისი როლი. მე ვფიქრობ, რომ ამ ფილმის როლი მხოლოდ უარყოფითია, რადგან მან მხოლოდ გააძლიერა წარმოდგენა საზოგადოებაში სტალინზე, როგორც მითზე, ბოროტ მეფეზე. ამ ფილმის თაყვანისმცემელ ბევრ ადამიანთან მისაუბრია და უცნაურია, რომ ისინი არ აღიქვამდნენ სტალინიზმად იმას, რაც ამ ფილმში ხდება. მომისმენია ამ ფილმის რელიგიურ-პრიმიტიული და ინფანტილური ინტერპრეტაციები. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ ფილმის ავტორი, თენგიზ აბულაძე რეზო ჩხეიძის მეგობარი იყო და მასთან ერთად იწყებდა მუშაობას; მათ ერთად გადაიღეს „მაგდანას ლურჯა“. საინტერესოა, რატომ იყო ასეთი მითოლოგიურ-ზედაპირული დამკვიდრება სტალინიზმის მითისა საქართველოში და არ არსებობდა კონკრეტული ტექსტები. ეს წიგნიც, ალბათ,

სწორედ ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ აქ კონკრეტული ისტორიები მოთხრობილი.

**ილაძე მიწიშვილი** – პირველ რიგში, დიდი მადლობა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს ასეთი იდეის განხორციელებისთვის. ყველასთვის, რომელიც ამ პრობლემასთან ასე თუ ისე არის დაკავშირებული, ეს წიგნი დიდი შენაძენია. პოლიგრაფიულად, წიგნი მშვენივრად არის გამოცემული. ერთადერთი პატარა შენიშვნა ის არის, რომ ასაკოვანი ადამიანებისთვის გვერდების აღმნიშვნელი ციფრები შეიძლება ცოტა უფრო მკაფიოდ ყოფილიყო დაბეჭდილი.

ახლა, რაც შეეხება შინაარსს. აქაც, ალბათ, საკითხი ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ერთი ეხება თავად რესპოდენტების აღსარებას, მეორე – შესავალ ნაწილს. მათ ნალაპარაკებზე რა შეიძლება კაცმა თქვას. ის კრიტიკას არ ექვემდებარება, იმიტომ რომ მათი გრძნობები გულიდან არის წამოსული. იმედი მაქვს, რომ ყველა, ვინც წაიკითხავს, დამეთანხმება, რომ ეს არის გულწრფელი აღსარებები. მეორე საქმეა ამ მოგონებების განზოგადება და შედეგები, რომელიც მშვენივრად არის აქ წარმოდგენილი. მშვენიერია ქ-ნ ნინო ლეჟავას წინასიტყვაობა. მშვენიერია ის წერილები, რომლებიც ერთვის წიგნს. ერთადერთი, კარგი იქნებოდა, მინიშნებული ყოფილიყო, ეს სპეციალურად ამ წიგნისთვის დაიწერა თუ მანამდე სადმე გამოქვეყნდა, რომელ წელს არის დაწერილი. მთავარი ნაწილია ბ-ნ ლევან გიგინეიშვილის ნაშრომი. ეს ძალიან ღრმა შინაარსის ნაშრომია.

დღეს მიწევს თქვენს წინაშე გამოსვლა. მაქვს თუ არა ამისი უფლება ან მოტივაცია? მე თვითონ ვარ რეპრესირებული ოჯახის წევრი. მამაჩემი დახვრიტეს, დედა გადაასახლეს, სახლიდან გამოგვასახლეს ... მე ვარ ერთ-ერთი დამფუძნებელი საზოგადოება „მემორიალისა“ საქართველოში. ამ საზოგადოებამ 17 წელი იარსება და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი. ალბათ, ცოტა თქვენს შორის ის, ვისაც თავისი საკუთარი თვალთ უნახავს ის ადგილები და უცხოვრია იქ, სადაც ასახლებდნენ ამ ადამიანებს. საქმე ის არის, რომ მე მოსკოვის ინსტიტუტი დავამთავრე და იქ იყო შემოთავაზებები შორეული აღმოსავლეთიდან, შუა აზიიდან, ჩრდილოეთიდან. მე ავირჩიე ჩრდილოეთი, „крайний север“, იმიტომ, რომ იქ დედაჩემი იყო გადასახლებული და იქ თითქმის ცხრა წელიწადი გაატარა. მინდოდა მენახა ის ადგილები, სადაც ამ ქალებმა გაატარეს თავიანთი ცხოვრების საუკეთესო წლები.

აქ ჩვენ სტალინის ფენომენზე ვლაპარაკობთ. ამ წიგნში საუბარია კომუნისტურ რეპრესიებზე, საბჭოურ რეპრესიებზე, სტალინურ რეპრესიებზე. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არც ერთი ამ ტერმინთაგანი ზუსტად და სრულად ვერ ასახავს იმას, რაც მაშინ მოხდა. კომუნისტური რეპრესიები საბჭოთა კავშირის გარდა სხვებმაც გაიმეორეს, – ჩინეთმა კამბოჯამ და ა.შ. ვერც რუსულ კომუნიზმს დავარქმევთ. ერთადერთი, თავის დროზე, როდესაც ვაარსებდით ჩვენს საზოგადოებას, მივიჩნიეთ, რომ ყველაზე ადექვატური ფორმულირება იქნებოდა ის, რაც ჩვენს საზოგადოებას ჰქვია: „საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების საზოგადოება“. ჩვენ ამ სახელწოდებით მოვიცავით ქრონოლოგიური ჩარჩო და ამავე დროს ხაზი გავუსვით ამ პროცესების არსს.

სტალინიზმი, როგორც განმაზოგადებელი ცნება საბჭოთა კავშირში ჩატარებული რეპრესიებისა, ჩემი აზრით, სწორი არ არის. მინდა მოგაგონოთ, რომ როდესაც 80-იანი წლების ბოლოს რუსეთში დაიწყო დიდი მოძრაობა, რომელიც საზოგადოება „მემორიალის“ დაფუძნებით დაგვირგვინდა, მაშინ, იმისათვის, რომ ოფიციალური ორგანოებიდან მხარდაჭერა მიეღოთ, მათ შეადგინეს წერილი და ძალიან ბევრ გამოჩენილ ადამიანს შესთავაზეს ხელის მოწერა. იყო ასეთი რუსი მწერალი, ვლადიმერ სოლოუხინი, რომელმაც დემონსტრაციულად არ მოაწერა ამ წერილს ხელი. ამან დიდი ამბავი გამოიწვია. შემდეგ სოლოუხინმა პატარა წიგნი გამოსცა, სადაც განმარტავს, თუ რატომ არ მოაწერა ხელი. წაგიკითხავთ ციტატას ამ წიგნიდან: „Тогда, отказываясь от подписи, я задал представителям инициативной группы один единственный вопрос, на который не получил ответа. Я спросил, начиная с какого года репрессии нужны считать незаконными и необоснованными и

до какого года можно их считать законными и обоснованными.“ მემორიალის დასახელებაში მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გამოკვეთილი სტალინიზმი და სტალინის როლი და სოლოუხინი ამბობს, რომ ხელის მოწერით, იგი შეურაცხყოფას მიაყენებდა ათასობით ადამიანს, რომელიც სტალინამდე იყო რეპრესირებული. ასეთ შემთხვევაში გამოდიოდა, რომ სტალინამდე არაფერი არ ყოფილა და სტალინის დროს დაიწყო რეპრესიები. სხვათა შორის, სოლოუხინს ძალიან ბევრი სამხილებელი მასალა აქვს გამოქვეყნებული ლენინის სისასტიკისა და რეპრესიების შესახებ. რასაკვირველია, იგი მართალია.

სტალინზე რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, მე ვფიქრობ, რომ ამ კაცის ფენომენი ძალიან დიდხანს იქნება შეუსწავლელი. მე მინდა ორიოდ მაგალითი მოვიხმო. როგორ უნდა მოვექცეთ იმ ხალხს, ვისაც გასაბჭოების შემდეგ გულწრფელად სჯეროდა პარტიის ამოცანების, სტალინის და ა.შ. ესენი არიან ხალხის მტრები? არა აქვს მნიშვნელობა, ისინი დახვრიტეს თუ არა. ეს ძალიან ძნელი საკითხია, იმიტომ რომ თუ ეს საკითხი ცალსახად გადავწყვიტეთ, ჩვენ ადამიანს წავართმევთ იმის უფლებას, რაღაც მსოფლმხედველობა აირჩიოს.

ერთ ამბავს გავიხსენებ ჩემი ჩრდილოეთში მუშაობის პერიოდებიდან. 1957 წელი იყო, უკვე ჩავლილი იყო მე-20 ყრილობა, გამოაცხადეს სტალინის კულტი და იქ მოხდა საშინელი რაღაც. ხალხი, რომელმაც ცხოვრება დაკარგა იმის გამო, რომ მოხვდნენ სტალინის ეპოქაში... იქ იმყოფებოდა ერთი კაცი, რომელიც ექვსჯერ იჯდა სიკვდილმისჯილთა ბანაკში, იქ არავინ იყო ისეთი, ვისაც ათი-თხუთმეტი წელი არ ჰქონდა გატარებული ციხეებსა და ბანაკებში. ეს ადამიანები ცოცხალი მოწმეები იყვნენ იმისა, თუ რა უსამართლობა ჩაიდინა მათ მიმართ სახელმწიფომ. მეორე მხრივ, გამოდიოდა, რომ ცხოვრებამ ფუჭად ჩაიარა. ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური მომენტი იყო. ბევრმა, რადგან მისი რეაბილიტაცია მოხდა, პარტიაში აღდგენაც მოითხოვა. ერთი კურიოზული მომენტი მასხენდება. მაშინ, 30-იან წლებში, მოგეხსენებათ, ბაქო იყო საბჭოთა კავშირში ნავთობის მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ცენტრი და იქ ძალიან ბევრი ადამიანი იყო ბაქოდან გადამოსახლებული. ჩვენთან ორი აზერბაიჯანელი მუშაობდა, ორივე უმაღლესი დონის სპეციალისტი. მათგან დაჭერის დროს ერთი პარტიული იყო, მეორე – უპარტიო. სწორედ იმ პერიოდში შეგებულებაში ვიყავი და რომ დავბრუნდი, ერთ-ერთი მათგანი იქ აღარ დამხვდა. მოვიკითხე დამითხრეს, რომ როგორც კი მიიღო რეაბილიტაცია, მოკიდა ხელი ცოლ-შვილს, გაყიდა რისი გაყიდვაც შეეძლო და სამშობლოში დაბრუნდაო. მერე მეორე აზერბაიჯანელის მდგომარეობით დავინტერესდი და მითხრეს, რომ როგორც კი მოუვიდა ცნობა პარტიაში აღდგენის შესახებ, დაიბარეს რაიკომში და უთხრეს, რომ პარტიას და სამშობლოს მისი ტაივავში დარჩენა სჭირდებოდა, და ისიც დარჩა. აქამდე მიიყვანა იგი რწმენამ პარტიულობის მიმართ. ამით იმის თქმა მინდა, რომ სტალინის ფენომენი ასეთი მარტივი არ არის. ამ წიგნში ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს, რომ მათი მამიდა, რომელმაც გაზარდა ობლად დარჩენილი ბავშვები, მიწასთან ასწორებდა სტალინს, მათი დედა კი, რომელმაც რვა წელიწადი გაატარა გადასახლებაში, ხმას არ იღებდა, რადგან ბოლომდე არ სჯეროდა, რომ სტალინი დამნაშავე იყო მომხდარში.

დავუბრუნდები საქართველოს დღევანდელობას. აქ ითქვა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ძალიან ცოტა რამ არის შექმნილი სტალინიზმის პერიოდზე, მათ მსხვერპლზე და ა.შ. არც მთლად ასეა საქმე, მაგრამ სამწუხაროდ, იმას, რაც გვაქვს, ვერ ვუკეთებთ პოპულარიზაციას. აი, ეს განსაკუთრებით ექიმის დაწერილი წიგნი<sup>1</sup>. ის მოიცავს 400 ადამიანის, სამედიცინო დარგის წარმომადგენლის ცხოვრებას. წიგნს წამდვარებული აქვს სამართლებრივი მიმოხილვა იმ კანონების, დოკუმენტების, რომლის მეორებითაც ჩატარდა ეს დიდი ტერორი, ბოლოში მოჰყვება სტალინის პერიოდში დახვრეტილი ადამიანების სია. რუსული „მემორიალის“ ინტერნეტ-საიტზე ამ სიაში 3700 ადამიანამდე საქართველოდან არის. ესენი არიან ადამიანები,

<sup>1</sup> ავთანდილ ქურხული. „... და რომ გახსოვდეს“. თბილისი 2004. ISBN 99928-0-871-3

რომელთა სიაც წარუდგინეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს, სტალინის რეზოლუციით.

ჩვენ, საზოგადოება „მემორიალი“, ყველანაირად ვცდილობდით, რომ ეს პრობლემა არ მიჩქმალულიყო. მე ისედაც მიმაჩნია, რომ მეოცე საუკუნეში ქართველმა ერმა ორჯერ გაიღო უდიდესი მსხვერპლი. პირველად, როდესაც მსოფლიო ომის დროს დაკარგა თავისი ფიზიკური შესაძლებლობების დიდი ნაწილი იმით, რომ ომში დაიღუპა 300 თუ 350 ათასი ახალგაზრდა ადამიანი, რომლებიც იყვნენ მომავალი ოჯახის შემქმნელები, და მეორედ, როდესაც საქართველომ დაკარგა თავისი გონებრივი შესაძლებლობის, თავისი ინტელექტუალური ელიტის უმშვენიერესი ნაწილი. გვაქვს ჩვენ ამ ხალხის დავიწყების უფლება? – ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს. ჯერ კიდევ ათი წლის წინ დავიწყეთ ბრძოლა იმისათვის, რომ საქართველოში გახსნილიყო საბჭოური პოლიტიკური რეპრესიების ამსახველი მუზეუმი. მაგრამ ამას ვერც ერთი მთავრობის დროს ვერ მივაღწიეთ. სულ მომყავდა არგუმენტად, რას იფიქრებდნენ ჩამოსული უცხოელები, როდესაც ჩვენთან ნახავდნენ სტალინის მუზეუმს, მაგრამ ვერ ნახავდნენ მისი ათასობით მსხვერპლის ხსოვნის მუზეუმს.

საჯარო ბიბლიოთეკაში წავაწყდი 1928 წლის მასალას, სადაც ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი აღტაცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მეტეხის ციხე კი არ დაანგრის, არამედ მუზეუმი გახსნეს. როგორც კი გავიგეთ გადაწყვეტილება ორთაჭალის ციხის დანგრევის შესახებ, მაშინვე ავტყეხეთ ერთი ამბავი, ღია წერილებით მივმართეთ სამინისტროებს. ისიც კი დავწერე, როგორ შეიძლება რესტორნის აშენება იქ, სადაც თითოეული გოჯი მიწა მორწყულია ხალხის სისხლით. მაგრამ ჩვენი ნათქვამი ყურად არ იღეს. ევან გიგინეიშვილმა ბუდაპეშტი ახსენა. უცხოეთში ყველანაირ პირობას ქმნიან იმისთვის, რომ ხალხის გონებაში არ დაიკარგოს ამ ადამიანების ხსოვნა. მე ტყუილად არ მითქვამს, რომ ჩვენ 17 წლის განმავლობაში ვსაქმიანობდით. ფაქტობრივად, ჩვენი საზოგადოება დღეს აღარ არსებობს. ინსტიტუტი, რომელშიც გვქონდა თავშესაფარი, გაიყიდა და ჩვენც გამოგვყარეს ქუჩაში. ამით დასრულდა ჩვენი საქმიანობა.

ამ წიგნთან დაკავშირებით ორი შენიშვნა მაქვს. ერთი, მერიდება, რომ პირადი ხასიათისაა, მაგრამ, ალბათ, მაინც გასათვალისწინებელია. ამ წიგნს აქვს პირთა საძიებელი, რაც ძალიან კარგია. იქ არის მხოლოდ 44 ადამიანი. მათგან ოცმა ბუნებრივი გზით არ დაასრულა სიცოცხლე. მათ შორის ცხრამეტს უწერია, რომ რეპრესიებში მოხვდა და დაიხვრიტა, მარტო მამაჩემს არ ერგო პატივი, დაეწერათ, რომ ისიც დახვრიტეს. ამას ნუ გაიგებთ, როგორც მხოლოდ ჩემს პირად სატკივარს. ეს არ არის საყვედური, უბრალოდ, მინდა ის ახალგაზრდები, რომლებიც შემდგომში დაინტერესდებიან ამ თემით, ავარიდო ასეთ წერილმან შეცდომებს, რომელთა სიღრმეშიც არის დიდი ტკივილი. მამაჩემს მიწერილი აქვს დაბადების და გარდაცვალების წელი, რომელ წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და რა დაწერა. მაგრამ რა არის ამის იქით?

კიდევ ერთი შენიშვნა მაქვს: ამ პირთა საძიებელში მხოლოდ ერთ ადამიანს უწერია, რომ მისი რეაბილიტაცია მოხდა 1957 წელს. ეს არის ტუსაჩევსკი, რომელმაც სისხლით ჩააბნო გლეხობის გამოსვლები. როდესაც საზოგადოება „მემორიალი“ დაეარსეთ, შევიმუშავეთ რაღაც ანკეტა, კითხვარი. ერთ-ერთი საკითხი იყო ცნობა რეაბილიტაციის შესახებ. გამოვიდა, რომ ჩვენ წინასწარ გვიფიქრია იმაზე, რაც მერე საჭირო გახდა. იმიტომ, რომ 1997 წელს გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვითაც რეპრესირებული ოჯახის წარმომადგენლებს რაღაც შეღავათები ეკუთვნოდათ და ამისთვის საჭირო იყო სასამართლოს დადგენილება, რომლისთვისაც ძირითად დოკუმენტს სწორედ რეაბილიტაციის ცნობა წარმოადგენდა. კახი კავსაძემ, როდესაც ამ ანკეტას ავსებდა, იმ ადგილზე, სადაც უნდა მიეთითებინა რეაბილიტაციის შესახებ, დაწერა: „არც მქონია, და არც მოვითხოვ, იმიტომ რომ ჩემგან მამაჩემი რეაბილიტაციას არ საჭიროებს“. მშვენიერი ემოციური განწყობაა ამ სიტყვებში გადამოცემული და არ შეიძლება ბ-ნ კახის ეს იმპულსი ადამიანმა არ გაიზიაროს. მაგრამ არსებობს მეორე მხარე. ჩემი აზრით, სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცხადებული

რეაბილიტაცია, თუ ბოდიშს არა, იმას მაინც აფიქსირებს, რომ ის სახელმწიფო, რომლის დროსაც მოხდა რეპრესიები, რაღაც სახით მაინც იყო დამნაშავე. მე განვიხილავ რეაბილიტაციას, როგორც მობოდიშების ერთგვარ ფორმას. ცოტა არ იყოს, გული დამწყვიტა იმან, რომ რეაბილიტაციის მინიშნება არის მხოლოდ ამ ადამიანზე.

„მემორიალში“ ვცდილობთ, მაქსიმალურად სამართლიანები ვიყოთ. რას ნიშნავს სამართლიანობა? ამ საკითხზე ხშირად მაქვს ჩემი კოლეგებისგან განსხვავებული აზრი. როგორ ფიქრობთ, ლავერენტი ბერია სამართლიანად დახვრიტეს? ნურავინ იტყვის, რომ ჩემზე მეტი მტერია ბერიასი, იმიტომ, რომ ყველამ იცის, რომ ბერიამ უსასტიკესი როლი ითამაშა ქართველი ინტელიგენციის განადგურებაში, ოფიციალურად დადასტურებულია, რომ ის მამაჩემს ციხეში დალპობით დაემუქრა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მიმაჩნია, რომ ბერია უსამართლოდ დახვრიტეს. რადგან დახვრიტეს არა იმისთვის, რისთვისაც უნდა დაეხვრიტათ, არამედ მოუგონეს საზღვარგარეთის შპიონაჟი. ასევე უსამართლოდ დახვრიტეს ტუხაჩევსკი. იმიტომ რომ ის გლეხობის გამოსვლების სისხლში ჩახშობის გამო კი არ დახვრიტეს, არამედ იმის გამო, რომ წინ გადაუდგა სტალინს.

ძალიან გამაკვირვა, როდესაც ორი წლის წინ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიწყო წერილების გამოქვეყნება 300 საუკეთესო ქართველისა და 300 სამარცხვინო ქართველის შესახებ. შემდეგ ეს მეორე ნაწილი მოიხსნა და მარტო გამოჩენილი ქართველების შესახებ განაგრძეს წერა. გამაოგნა იმან, რომ საუკეთესო ქართველების რიცხვში ყველა სტატიაში შეყვანილი იყო სტალინი. ამან გაგრძელება ჰპოვა გადაცემა „დიდ ათეულში“. არ ვეთანხმები ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ სტალინის ძეგლი უნდა მოიხსნას, იმიტომ, რომ მიმაჩნია, რომ სტალინის ძეგლის იქ არსებობა ლაკოშის ქალაქში ჩვენი გონიერებისა. როდესაც სტალინის ძეგლის აღებას თავად იქ მაცხოვრებელი ხალხი მოითხოვს, მაშინ ვიფიქრებ, რომ ჩვენი საზოგადოება მომწიფდა პოლიტიკურად და მორალურად.

**ვოგი ვახარია** – დიდი ძაღლობა. შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები მომხსენებლებს და ჩაერთოთ დისკუსიაში.

პირველი შეკითხვა ნინოსთან მექნება. მე არ მომისმენია გიორგი მაისურაძის მოხსენება, მაგრამ მისი მოხსენების იმ ნაწილთან, რომელიც შენ გაგვაცანი, პრეტენზიები გამიჩნდა. არ მინდა, ისტორიული ფაქტები ავურიოთ და ინტერპრეტაციებს მივმართოთ იმის მიხედვით, თუ როგორ გვჭირდება და გვაწყობს თავად ეს ინტერპრეტაციები. კარგად მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დროს დაიწყო ბრძოლა სტალინიზმის წინააღმდეგ საქართველოში. სხვა საკითხია, რა მიზნები ამოძრავებდა მას. ის ტექსტებიც კარგად მახსოვს, რომლებიც იბეჭდებოდა იმ პერიოდში გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“. სტალინიზმის რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო სწორედ განსახურდიას მერე, შევარდნაძის პერიოდში, როდესაც შევარდნაძე ჩავიდა გორში, ყვავილებით მორთო სტალინის ძეგლი და თქვა, რომ იგი დიდი პიროვნება იყო. იდენტიფიკაცია სტალინთან დაიწყო სწორედ შევარდნაძემ და არა გამსახურდიამ. ეს თავისთავად ძალიან საინტერესო თემაა, ალბათ, ვისაუბრებთ იმაზეც, რას ნიშნავს ნაციონალიზმი და სტალინიზმი, ან შევარდნაძიზმი და სტალინიზმი; მე თუ შეკითხვით ესენი უფრო ჰგავს ერთმანეთს.

მე წაკითხული მაქვს გიორგის ეს ტექსტი და სერიოზული პრეტენზიები მაქვს ამ ტექსტთან. ხომ არ ხდება განზოგადებები მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სჭირდება კონცეფციას და მეორე სახის ავტორიტარიზმში ხომ არ გადავიდვართ ამ განზოგადებებით?

**ნინო ბექიშვილი** – გიორგის მაგივრად გამიჭირდება პასუხის გაცემა, თუმცა, ზვიად გამსახურდიას სახელი გიორგი მაისურაძის მოხსენებასთან კონტექსტში არ მიხსენებია. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ როგორც სტალინი უყვარდათ, შესაძლოა, ასეთივე სიყვარულით შეიყვარა მოსახლეობის ნაწილმა ზვიად გამსახურდია.

რაც შეეხება გიორგის მოხსენებას, მიმაჩნია, რომ ამ თეორიას აქვს არსებობის უფლება და საფუძველი.

**ლევან ბუწაშვილი, სტუდენტი** – თქმა იმისა, რომ სტალინის ძეგლი უნდა ავიღოთ, რადგან ეს ჩვენი სამარცხვინო ისტორიაა, არამეცნიერულად მიმაჩნია. ისტორიას ეთიკური ნორმების მიხედვით არ უნდა შევხედოთ. ისტორიას უნდა მივუდგეთ, როგორც ფაქტს და არ უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი ისტორიის.

საზოგადოება, რომელიც სტალინის ძეგლის აღებას ითხოვს, არ მომწიფებულა. ჩემი აზრით, ის ამას იმიტომ აკეთებს, რომ ახალი კულტი, ახალი ქარიზმატული ლიდერი დააყენოს. რატომ უყვარდათ სტალინი? იმიტომ ხომ არა, რომ საზოგადოებას ეზარება ფიქრი? სტალინი, ალბათ, იმიტომ იყო პოპულარული, რომ შუა საუკუნეების მერე საზოგადოების აზროვნება აღმოსავლეთში არ შეცვლილა.

**იოსებ ცინცაძე, საზოგადოება „მემორიალი“** – მე მგონია, რომ დისკუსია არ წავიდა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც უნდა წასულიყო. აი, დააკვირდით, დღეს არის ამ წიგნის პრეზენტაცია, მაგრამ ყველაფერი დავიდა სტალინის შეფასებამდე. არაფერ ამბობს, რომ სტალინის შესახებ ერთგვაროვანი აზრი უნდა არსებობდეს. ეს იყო უდაოდ, დიდი ისტორიული ფიგურა, რომელმაც გააკეთა ცოტა კარგი და იმისათვის, რომ ეს კარგი გაეკეთებინა, ძალიან ბევრი ცუდი გააკეთა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ მოხდა ოქტომბრის რევოლუცია. ამ რევოლუციის შედეგად, ის პროცესი, რომელსაც რუსეთის იმპერია ნორმალური მიმართულებით მიჰყავდა, შეწყდა. რუსეთში ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომლის სათავეშიც აღმოჩნდა ტერორისტების ჯგუფი. ეს ჩემი სიტყვები არ არის. ეს სიტყვები ეკუთვნის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს და შემდგომ ცნობილ დისიდენტს, იაკოვლევს: „К власти в результате Октябрьской революции в России пришли преступники и террористы“.

უბედურება მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოხდა, მას ექო მთელ მსოფლიოში მოჰყვა. შეწყდა რუსეთის იმპერიის ნორმალური მიმართულებით განვითარება, იმ ეკონომიკური, ფილოსოფიური მიმართულებით განვითარება, რომლითაც ეს იმპერია ჯობდა, რომ განვითარებულიყო. ამის ნაცვლად განვითარება სულ სხვა, ე.წ. სოციალისტური მიმართულებით მოხდა. მაგრამ სინამდვილეში ეს არ ყოფილა სოციალიზმი, ეს იყო ლენინურ-სტალინური სოციალიზმი. სოციალიზმი დღეს მრავალ ქვეყანაში არსებობს და ყველა ქვეყანა მას თავისებურად განიხილავს. პოლიტოლოგიასა და ეკონომიკაში არის მთელი რიგი ტერმინები, რომლებიც დღეისთვის საბოლოოდ არ არის ახსნილი, მათ შორის არის სოციალიზმიც. ეს ტერმინი ყველას თავისებურად ესმის, სტალინსაც თავისებურად ესმოდა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელიც აშენებდა სოციალიზმს ლენინის გაგებით და თვითონ ლენინს ეს სოციალიზმი არ ესმოდა ისე, როგორც ესმოდათ შვეიცარიაში, საფრანგეთში ან ინგლისში. სოციალიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთში, უარყოფდა კერძო საკუთრებას, უაყოფდა პატივისცემას კერძო საკუთრებისა და შრომის მიმართ. ლენინმა, სტალინმა და მათმა ჯგუფმა შეძლეს შემცდარი იდეოლოგიით და ლოზუნგებით აღედგინათ რუსეთის იმპერიის სახელმწიფოება და ჩამოყალიბდა სისტემა, რომლის განვითარების გზა არაფერ არ იცოდა, როგორც უნდა ყოფილიყო. 1922 წელს ძერჟინსკი წერს: „Мы стоим на грани диктатуры, другого выхода нет“. მალე ძერჟინსკი გარდაიცვალა. ეს იყო დრო, როდესაც, არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ.

ამის შემდეგ იწყება ნეპ<sup>2</sup>-ი, თუმცა არც ამის შემდეგ შეცვლილა რამე. „То, чего мы не смогли достичь обычным путем, надо достичь насильем“, ეს იყო მიმართულება. ამ მიმართულებამ მოითხოვა დაჭერები, დახვრეტები, ტუხჩაჩევსკის მიერ ათი ათასი გლეხის

<sup>2</sup> НЭП – Новая Экономическая Политика

გაზით მოწამვლა ციმბირში, 37 წელი, სამამულო ომის შემდეგ ხალხების გადასახლება. ეს მიმართულება გაგრძელდებოდა დღემდე, იოსები რომ ცოცხალი ყოფილიყო. როდესაც მეოცე ყრილობის შემდეგ რკინიგზელების სახლში ჩაატარეს ჩეკისტების პატარა ჯგუფის გასამართლება, მას საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკოც ესწრებოდა, ითქვა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ. ერთ-ერთის საბოლოო სიტყვაში, რომელსაც დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, ეს სიტყვები არ დაბეჭდილა: „Да, мы расстреливали, сейчас Вы нас расстреляйте, потом Вас расстреляют. Эта система не имеющая нормального экономического-политического фундамента, существовать иначе не может“. ეს არის იმის ეპიტაფია, რაც მოხდა ოქტომბერში. თქვენ გვინათ, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოჩნდნენ ბოროტი ადამიანები ლენინი და სტალინი? ასე არ არის. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სათავეში ისეთი ხალხის ჯგუფი მოვიდა, მათგან ვინც არ უნდა ყოფილიყო სათავეში, იგივე მოხდებოდა. ამ სისტემას სხვაგვარად არსებობა ვერ წარმოედგინა. სახელმწიფო, რომელიც არ ეფუძნებოდა კერძო საკუთრებას, რომელსაც ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი არ ჰქონდა, სხვანაირად ვერ იარსებებდა.

**გოგი გვახარია** – დიდი მადლობა. ამ თემას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

**გია სიამაშვილი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი** – იაკოვლევი ამბობდა, რატომ იყო, რომ სტალინის თავისი ბოროტი საქმეები კარგად გამოსდიოდა, ჩვენ კი ჩვენი სასიკეთო საქმეები არაფრით გამოგვდისო. იაკოვლევი გორბაჩოვის გუნდში იყო. ეს ძალიან ნიშანდობლივი სიტყვებია. ის რიტორიკულ კითხვას სვამდა, ხომ არ სჭირდათ ტოტალიტარიზმის ბაცილები, რომლებიც ვერ მოიშორეს და ამიტომ ბრუნავდნენ ერთსა და იმავე წრეზე.

რა გვახლოვებს ტოტალიტარიზმთან – არის თუ არა გარეშე მტრების ძიების ფენომენი ან პიროვნების კულტის შექმნის მცდელობა? პოლიტოლოგიის ინსტიტუტში ახლა ვმუშაობთ ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვებზე. შევარდნაძის და სააკაშვილის სიტყვაშიც არის აპელირება უზენაესთან. შევარდნაძე იღია ჭავჭავაძესავით ამბობს, რომ მას ღმერთი ნიშნავს და ერი ზრდის, რომ წარუძღვეს წინა ერსა. ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს ამ სიტყვებს შევარდნაძე. ისეც ვხვდებით საერო პიროვნების ქარიზმატულობას. სააკაშვილის დაახლოებით ამგვარ ფრაზას წარმოთქვამს. მისი თქმით, ის არ არის მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური, ის ერის ლიდერია. ესეც უახლოვდება ქარიზმატულობის ნიშანს. მე ამით ტოტალიტარიზმის მაგალითების მოყვანა მინდა.

დღეს კვლავ ვსაუბრობთ ცუდსა და კარგ ხელისუფლებაზე. საზოგადოების უმრავლესობა დღეს ლაპარაკობს არა იმაზე, რა იქნება სააკაშვილის შემდეგ, არამედ იმაზე, თუ ვინ იქნება მის მერე. საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ ელოდება ხელისუფლებას, რომელიც დღევანდელისგან განსხვავებით, უკეთესი იქნება. თითქოს ვიღაც ოქროს ბიჭუნამ უნდა მოიტანოს ბედნიერება, და ყველაზე ახლო გზა ბედნიერებისკენ არის ტოტალიტარული იდეოლოგიზებული სახელმწიფო, ამიტომ არის ამხელა ინტერესი ამ „უეცარი გაბედნიერებისადმი“.

**გოგი გვახარია** – ბ-ნ სოსო ცინცაძეს დავუსვამ შეკითხვას. თქვენ თქვით, რომ სტალინიზმს საფუძველები ჰქონდა და დღეს ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო სტალინზე, არამედ იმ მიზეზებზეც, რამაც წარმოშვა სტალინიზმი და თქვენ ოქტომბრის რევოლუცია ახსენეთ. მაგრამ ეს მოსაზრებები მოვისმინეთ ჩვენ 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველო ემდუროდა რუსეთს მხოლოდ სტალინიზმის და სტალინის და არა ლენინის კრიტიკის გამო.

მესმის, რატომ გამოითქმება ასეთი მოსაზრება, მაგრამ მგონია, რომ როდესაც საფუძვლებზე ვსაუბრობთ, მაშინ ლენინის საფუძვლებზეც უნდა ვისაუბროთ, ისტორია გრძელი პროცესია. ეს მოსაზრება საქართველოში ძალიან გავრცელებულია, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ასეთი მოსაზრების გამოთქმით, ცდილობენ პასუხისმგებლობა მოუხსნან თავად სტალინს. არა მგონია, რომ საქართველოში, სადაც ამდენი ღია თუ ფარული სტალინისტია, ეს მოსაზრება გამართლებული იყოს, განსაკუთრებით, როდესაც ამას საზოგადოება „მემორიალი“ ამბობს. მესმის, რომ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. თუმცა, სტალინის შემთხვევაში ეს მიზეზი უფრო კეკესა და იმ რელიგიურ განათლებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც მან მიიღო და არა ლენინში. თქვენ ბერჟინსკის ფრაზა გაიხსენეთ, ბევრი სხვა ფრაზის გახსენებაც შეგვიძლია. თქვენ ახსენეთ *ნუბიც*, რომელიც სწორედ სტალინმა გაანადგურა. რა მიზნით გააკეთა ეს, მე მგონი, უფრო საინტერესოა.

**ნიკა ჩალათაშვილი, ჟურნალისტი** – ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, „გაუმარჯოს სტალინს“ და „ძირს სტალინი“ ერთი და იგივეა, ორივე სტალინიზმს ნიშნავს. ახლა სტალინიზმის გააზრების დროა, მაგრამ ნაწილი ერთს ვამბობთ, ნაწილი – მეორეს. სტალინიზმის გააზრებაში სწორედ ჩვენი ემოციური დამოკიდებულება გვიშლის ხელს. ამ საკითხს ცოტა პერსპექტივაში უნდა შევხედოთ.

**თემურ ქორიძე** – აქ ითქვა, რომ ბერიას დახვეწა არ იყო გამართლებული, რადგან ის დაიხვეწა არა იმის გამო, რისთვისაც იმსახურებდა დახვეწას. თუმცა, თავად დახვეწა ხომ სტალინიზმის გამოვლინებაა, ძალადობა ხომ სტალინიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა? სამწუხაროდ, სტალინი ზოგისთვის ბოროტი მითიური მეფეა, ზოგისთვის განვლილი ისტორია, მაგრამ რეალობაში სტალინს ვერ ვხედავთ. მას ვხედავთ ხელისუფლებაში, მაგრამ საზოგადოებაში, ადამიანებში, ერთმანეთში მას ვერ ვხედავთ.

მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ საბავშვო ბაღში მასწავლებლები ხუთი წლის ბავშვებს დილარ ხაბულიანზე სიმღერებს ასწავლიან<sup>3</sup>, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ამ ბავშვების მშობლებს პრეტენზია არა აქვთ. ჩვენ თვითონ, ვკამათობთ სტალინის ძეგლის გადატანაზე და თბილისში ვაკე-საბურთალოს გზაზე გვიდგას სამგზის შრომის გმირის, შჩოლკინის ბიუსტი. ესეც პატარა სტალინიზმის გამოვლინებაა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცემიდან მოყოლებული, ერთი დღე არ მახსენდება, რომ საზოგადოებაში სტალინიზმის მძაფრი შეგრძნება არ ყოფილიყო, და ეს ჩვენ სამწუხაროდ, არ გვაწუხებს.

**ილამაზ მიწიშვილი** – თქვენს შენიშვნას, რატომ არ მსჯელობს ამ თემაზე საზოგადოება, საკუთარ თავზე ვიღებ. იმიტომ, რომ წესით, ჩვენი საზოგადოება უნდა იყოს ამისი მოთავე. 17 წლის განმავლობაში 10-15 კაცი დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე ვამზადებთ საკანონმდებლო ინიციატივებს, რამდენჯერმე გაზეთი გამოვეცით. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, რეგულარულად ვატარებთ სსოენის საღამოებს. მეტი ჩვენ არაფერი შეგვიძლია, მაგრამ თქვენი სწორი ბრძალდებით, როცა ჩვენგან მეტს მოითხოვთ.

რაც შეეხება იმას, რატომ არ აწყობს საზოგადოებას ამ თემაზე ლაპარაკი, მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ქართველი ერი, შეიძლება ითქვას, რომ ავად არის. ამისი ერთ-ერთი გამოვლინება ის არის, რომ მას ავიწყდება თავისი წინაპრები.

**დავით დვისაძე, არქიტექტორი** – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში შვილებმა მამებს დაუსვეს შეკითხვა, სად იყვნენ ისინი და რა გააკეთეს მათ. ჰაინრიჰ ბიოლის

<sup>3</sup> [www.youtube.com](http://www.youtube.com)

შემოქმედებაც ამ თემას ეხება. ჩვენში თუ დასმულა ასეთი სახის შეკითხვა? ჩემს თაობას თუ დაუსვამს თქვენთვის ეს შეკითხვა?

სასაცილოა, მაგრამ სტალინი არც კომუნისტი ყოფილა და არც სოციალისტი, მან ერთიც და მეორეც გამოიყენა, როგორც იდეოლოგია.

როგორც არქიტექტორმა, ვიცი, რომ ჩვენს საზოგადოებაში, დღემდე, სამწუხაროდ, ყველაზე სიმპათიურად ე.წ. „სტალინური არქიტექტურა“ ითვლება და გავრცელებულია აზრი, რომ სტალინი ყველაზე მეტად ზრუნავდა არქიტექტურის განვითარებაზე. მაგრამ ის არ იცინა, რომ იმ პერიოდის არქიტექტურის ყველაზე ცნობილი სახეები სწორედ სტალინმა დაახვედრინა.

**მალხაზ სალდაძე, პოლიტოლოგი** – ბოდიში ამ ადამიანების წინაშე არავის არ მოუხდია. საბჭოთა კავშირში მომხდარი არავის მოუხანია. თენგიზ აბულაძის ფილმის იდეაც სწორედ ეს არის. რეაბილიტაცია ნიშნავდა აღიარებას, რომ ეს ადამიანები უდანაშაულოდ დაიჭირეს. მაგრამ მონანიება არ ყოფილა.

არც სკკპ მე-20 ყრილობის, პიროვნების კულტის მხილებასთან დაკავშირებულ საკითხში, რომელიც ხრუშჩოვმა შეიმუშავა პოლიტიბიუროსთან ერთად, არ ყოფილა საუბარი მონანიებაზე. იქ ლაპარაკი იყო სტალინის დანაშაულზე პარტიის წინაშე. კომუნისტურ პარტიას არ მოუხანია. ერთადერთი, ვინც ამბობდა, რომ პარტიას უნდა მონანიებინა 20-30-იან წლებში ჩადენილი დანაშაული, მიქოიანი იყო. მაგრამ მისი პოზიცია არ იქნა გაზიარებული. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ სახელმწიფოს და დღეს მის სამართალმემკვიდრეს, არ აუღია პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულზე. ეს უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, რომ სტალინიზმის თემა დღემდე არ არის გადააზრებული.

მთავარი დამნაშავეების ძიება კი არ არის, არამედ ის, რომ საზოგადოება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ეს არ იყო ერთი ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაული. ეს იყო ის პოლიტიკური გარემო, რომელშიც დანაშაული მიღებული პრაქტიკა იყო ერთი ადამიანის ძალაუფლების მომსახურების.

**ნიკა წიკლაური, ფოტოგრაფი** – ჩემი აზრით, არის განსხვავება ქართულ და რუსულ სტალინიზმს შორის. ქართული სტალინიზმი ეროვნულ ღირსებას უკავშირდება, რუსულს – მეტწილად რელიგიური საფუძველი აქვს. მაინტერესებს ამაზე თქვენი აზრი.

სტალინი ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი სახეა, ვისთან შეიძლება მისი შედარება? და კიდევ ერთი საკითხი: რა განაპირობებს სტალინისნაირი და ჰიტლერისნაირი ხალხის პოპულარობას ხალხში?

არც შეეხება პასუხისმგებლობას, გერმანიაშიც კი არ აუღია ბევრს თავის თავზე ჩადენილი დანაშაული. ისინი დარჩნენ თავის თანამდებობებზე და განაგრძეს საქმიანობა.

**ნიკა ჩალათაშვილი** – აქ ანალოგიები ახსენეს. მახსენდება 2009 წლის 9 აპრილის აქციაზე ქ-ნ ნინო ბურჯანაძის გამოსვლა. ხალხმა მას დაუსტვინა და მან ბოდიში მოიხადა. მაგრამ ბოდიში მოიხადა იმისთვის, რომ ვერ დაიცვა ისინი, და არა იმისთვის, რომ მათ წინააღმდეგ ძალადობაში მონაწილეობდა. მისი სიტყვები ზედმეტად დიპლომატიური იყო, არ მინდა სიტყვა „თვალთმაქცობა“ მოვიშველიო. ჩემი აზრით, მისი რეიტინგი უფრო გაიზარდებოდა, თუ ის რეალურად და გულწრფელად მოიხდინა ბოდიშს იმისთვის, რომ ამის მონაწილე იყო. როგორც ჩანს, მონანიების პრობლემა მართლაც ძალიან დიდია არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში. ალბათ, ამაზეც ღირს ლაპარაკი ადრე თუ გვიან.

**ეკა აღდგომელაშვილი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი** – დღეს გარკვეულ წრეებში, მემარცხენე ინტელექტუალებში, ძალიან პოპულარულია ლენინის ფიგურის წინ წამოწევა. რით შეიძლება აიხსნას ეს ტენდენცია?

**ოთარ ჯანელიძე, ისტორიკოსი** – „მონანიება“ კარგი ფილმია, მაგრამ მერე ისე შემობრუნდა, თითქოს მხოლოდ ჩვენ, ქართველებს გაგვიხდა მოსანანიებელი. ახლაც, ისე მეჩვენება, თითქოს სტალინის გამო მართო ჩვენ უნდა ვიმტვირთოთ თავი. სტალინიზმი არ გახლავთ ქართული ფენომენი. რეპრესიები ტოტალიტარიზმის მახასიათებელი ნიშანია და ისინი ლენინის დროს დაიწყო. ამიტომ, კონტექსტიდან მოწყვეტით მსჯელობა არ ივარგებს. სტალინი ქართველი იყო მაშინ, როცა წერდა ლექსს „გარდს გაეფურჩქნა კოკორი“.

**ილამაზ მიწიშვილი** – ის იყო ქართული წარმოშობის რუსი პოლიტიკოსი.

**ოთარ ჯანელიძე** – მსხვერპლსა და ჯალათზეც ითქვა და ეს საკვლევი თემაა. ძალიან ბევრი იყო ისეთი, ვინც თავიდან ჯალათი იყო, შემდეგ დასაჯეს და ბოლოს მსხვერპლად გამოიყვანეს.

ძალიან კარგია, რომ დაიწყო ამ თემაზე საუბარი. მივესალმები ამ წიგნის გამოსვლასაც, იმიტომ რომ მისი წაკითხვის შემდეგ ახალგაზრდები უფრო კარგად გააცნობიერებენ, რას ნიშნავს რეპრესიები და ტოტალიტარიზმი.

**პაატა საბელაშვილი, ფონდი „ინკლუზივი“** – მე მინდა აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით ვთქვა. არც აფხაზეთისთვის მოგვიხდია ქართველებს ბოდიში, ყველაფერს რუსებს ვაბრალებდით. სტალინიზმის მონანიებასაც ალბათ იმიტომ ვირიდებთ თავიდან, რომ ვერ გავგვირკვევია, სად მთავრდებოდა სტალინის ქართველობა და სად იწყებოდა მისი რუსობა. თუ დაუეკვირდებით 40-იანი წლების გადასახლებების თემას, ვნახავთ, რომ ქართული ეთნიკური განლაგებისთვის სასარგებლოდ ახდენდნენ ამ გადაადგილებებს, თუნდაც მესხეთში – იმერლების, და აფხაზეთის სანაპირო ზოლში რაჭველების ჩასახლება ავიღოთ. ეთნიკური ნიშნით გადასახლებას ვგულისხმობ, და არა პოლიტიკური ნიშნით გადასახლებას.

**იოსებ ცინცაძე** – ახალგაზრდამ გერმანია ახსენა. გერმანია ცივილიზებული ერია, მან მოინანია. ჩვენ, საუბედუროდ, ეს ვერ მოვახერხეთ. საბჭოთა კავშირმა ეს დღემდე ვერ მოახერხა.

– ეს არის ავადმყოფური ეპოქა თავისი შვილით და საზოგადოებით. გირჩევთ ნახოთ მიხეილ ჭიაურელის ფილმი, „ფიცი“. დაინახავთ ამ საზოგადოების გროტესკულობას. ეს იგივეა, ვიმსჯელოთ აცტეკების დანაშაულზე. ეს, უბრალოდ, ავადმყოფური პერიოდი იყო. ეს იმის მაგალითი, თუ როგორ რყვნის თანამდებობა ადამიანს. მსგავსი პიროვნება უამრავი იყო მსოფლიო ისტორიაში.

**ანიტა თვაური, ჟურნალი „ლიბერალი“** – ხომ არ მოხდა ისე, რომ საქართველოში ეკლესიას ჩაენაცვლა სტალინიზმი და ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არ მოხდა ამ საზოგადოებაში სტალინიზმის კრიტიკა? თავისთავად, იმ საზოგადოებაში, სადაც ეკლესიის ავტორიტეტი ასეთი მაღალია, საკითხავია, დაიწყება თუ არა სტალინიზმის კრიტიკა.

**ლევან ბუწაშვილი, სტუდენტი** – სტალინი შეიძლება ნაპოლეონს შევადაროთ. მათ შორის ბევრი მსგავსება შეიძლება ვიპოვოთ. მთავარია, ემოციური დამოკიდებულება მათ მიმართ.

**მარინა ჯიქია** – გამაკვირვა თქვენმა შეფასებამ. ნაპოლეონი უდიდესი პიროვნება იყო. მან დაიპყრო თითქმის მთელი მსოფლიო და გაამდიდრა საფრანგეთი უზარმაზარი კულტურით. სტალინმა კი, მოკლა კულტურა.

**ილამაზ მიწიშვილი** – აქ დასმულ შეკითხვათა შორის შეიძლება გამოვყო ისეთები, რომლებზეც პასუხის გაუცემლობა არაფერს დაგვაკლებს. მაგრამ აქ დაისვა ერთი შეკითხვა,

რომელიც ყველას გვეხება. ახალგაზრდამ გვეკითხა, სად ვიყავით ჩვენ. ეს კითხვა ტრადიციულად ისმება სხვადასხვა თაობაში. მართალი რომ ვითხრათ, მე ამ კითხვის შექმნის დასაწყისში ვიყავი. გულანდღვრულად გეტყვით, სულ ბოლო მომენტამდე, 80-იანი წლების ბოლომდე ვერ წარმომედგინა საბჭოთა კავშირის დანგრევა. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს სულმდებლობას ნიშნავს, თანახმა ვარ. მაგრამ ამას მეორე პასუხი აქვს, ხალხი მასობრივად, გმირი ვერ იქნება. ჩვენს შორისაც იყვნენ გაბედულები, თუმცა მე მათ შორის არ ვარ. 1941 წელს 17 ახალგაზრდა დახვრიტეს, მათ მეორეც იყვნენ დისიდენტები, ადამიანები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ, აი ისინი მართლაც, გმირები იყვნენ. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი თაობა დამნაშავეა, მთელი თაობის მაგივრად, მე ვიღებ თქვენს შენიშვნას.

**ლევან გიგინეიშვილი** – მე მინდა ბოდიში მოვუხადო ბ-ნ ილამაზს, იმიტომ, რომ წიგნის ბოლო ნაწილი, საძიებელი, ჩემი გაკეთებულია. მე ძალიან ვჩქარობდი და ეს არ არის ისე გაკეთებული, როგორც მინდოდა. შეზღუდული ვიყავი ფორმატივით. ემოციურ მომენტებს საერთოდ ვერ შევიტანდი ამ ბიოგრაფიულ ცნობებში. თუმცა, ვიღებ შენიშვნას, რომ უკეთ ვერ ვაგაკეთე.

ძირითადად, ტოტალიტარული რეჟიმები სობენ თავისუფალი გამოხატვის სივრცეს, ფორუმი, აგორა აღარ არის. ამან შეიძლება რელიგიური ფორმაც მიიღოს. მაგალითად, კალვინის ჟენევა იყო ტოტალიტარული ქალაქი, სადაც მთელი საზოგადოების მონასტერიზაცია მოხდა. ინკვიზიციის დროს, ესპანეთში წმინდა მამების ნაშრომების გამოქვეყნება იკრძალებოდა. იმიტომ რომ ხანდახან წმინდა მამები იმას არ ამბობდნენ, რაც ინკვიზიციას უნდოდა ეთქვა. თავად საეკლესიო წიგნებს კრძალავდა კათოლიკური ეკლესია, რომ ხალხს თავისუფალი მსჯელობის სივრცე არ ჰქონოდა, არ დაეყრდნოთ თავისი თავისუფალი აზრი ამ ავტორიტეტზე, რომელსაც თვითონ ეკლესიაც სცნობდა.

სტალინის დროს და ჰიტლერის დროს შევადაროთ, ვნახავთ, რომ საბჭოთა ტოტალიტარიზმი უფრო ინტერნაციონალური იყო, ჰიტლერთან ეთნიკური გამორჩევა იყო. ჰიტლერი ამბობდა, რომ მისთვის უფრო ადვილი იყო, კომუნისტი ან სოციალისტი ფაშისტი გაეხადა, ვიდრე ლიბერალ-დემოკრატი გაეხადა ფაშისტი, იმიტომ, რომ მათი სტრუქტურა ერთნაირი იყო. საკუთარი ინტერესების დათმობაში, საზოგადოების სამსახურისთვის, შეიძლება იყოს რაღაც კეთილშობილური. ჰიტლერმა ამით მოინადირა საზოგადოების გული. ფაშისტიმ ერთი გერმანელი იდეოლოგი წერდა, რომ ლიბერალ-დემოკრატები არიან „ჰენდლერ“, ანუ, ვაჭრები, პირადი სარგებლისთვის მზრუნველები; ისინი კი იყვნენ „ჰელდენ“, გმირები, რომლებიც მთელი საზოგადოებისთვის იბრძოდნენ. ამ იდეაზე ბევრი ადამიანი წამოეგო. არის დიდი საფრთხე, რომ არ ჩაანაცვლოს კეთილშობილური იდეა რაღაცამ, რაც მერე ხდება ტოტალიტარული, იჭრება ადამიანის პირად სივრცეში და ძალაუფლება აქვს მის აზროვნებაზე.

ნებისმიერი ტოტალიტარული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია პიროვნების ღირებულების დამცირება. დასავლურმა კულტურამ პიროვნების ხელშეუხებელი ფასეულობა მოიტანა. არის ასეთი ინგლისური სიტყვა, რომლის ზუსტი შესატყვისი არც გვაქვს, „პრაივესი“ (privacy), რაც ხელშეუხებელ პირად სივრცეს ნიშნავს. ილია ჭავჭავაძე მას „ხელშეუხებლობას“ უწოდებდა. მოგესხენებთ, ილიამ შემოიტანა საქართველოში ლიბერალიზმის ტრადიცია. მე მგონი, დღეს თუ რაიმე ჯანსაღია ჩვენს რეალობაში, თერგდალეულების თაობიდან მოდის.

სტალინის დროს ჩაანაცვლა ეკლესია, იმიტომ, რომ აბსოლუტად გამოაცხადა თავი. ეკლესია აბსოლუტს ეფუძნება, ის არის მისი წყარო. ჩაანაცვლება მოხდა ემოციურ დონეზეც. რატომ არ დასაფლავებს ლენინი? იმიტომ, რომ რუსეთში ძალიან მძლავრი ტრადიცია იყო წმინდანების ნაწილების პატივისცემის. სიტყვა „წმინდას“ მიკერება მოხდა პარტიასთან. გარდა ამისა, სტალინმა თავი წარმოაჩინა, როგორც რუსულ „ცარად“. ლენინის იდეა იყო

რეკოლუციის სხვა ქვეყნებში გავრცელება, სტალინმა მოიგონა თეორია: სოციალიზმი ცალკე ალებულ ქვეყანაში.

დათო ყიფიანის და ვოვა გუცაევის პარტიაში მიღების სასაცილო ისტორია მახსენდება. ვოვა გუცაევის ჰკითხეს, ვინ იყო ლენინი და უპასუხა, რომ ლენინი მისთვის მამა იყო. მერე დათო ყიფიანს ჰკითხეს იგივე და მან უპასუხა, რომ მისი მეგობრის, ვოვა გუცაევის მამა იყო. ამასწინათ სადღაც ამოვიკითხე და გამახსენდა. ლენინი მამა უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად ჩაანაცვლა თანამედროვე ქართულმა ეკლესიამ სტალინი, ძალიან რთული საკითხია. შესაძლოა, არის აბსოლუტისადმი ნოსტალგია, ამის გულწრფელი განცდა და ამისთვის მიდის ხალხი ეკლესიაში, ზოგი ეკლესიას თავისი კულტურის ნაწილად მიიჩნევს და არ უნდა დაკარგოს თავისი კულტურული სახე, ზოგი, შესაძლოა, მართლაც სტალინის გავრძელებას ხედავს. სხვა საკითხია, რამდენად შეიძლება შეიჭრას ეკლესიაში ტოტალიტარიზმი. ეს ძალიან ზოგადი და ფართო საკითხია და ცალკე დისკუსიის თემაა.

**ვოვი გვახარია** – დიდი მადლობა. „დაბარებები“ და „საქმის გარჩევები“, ზოგჯერ საპატრიარქოში, ზოგჯერ საკანში და სხვაგან, ეს ჩვენი ქვეყნისთვის დღეს დამახასიათებელია და პირადად მე, ეს სტალინიზმის გამოვლინებად მიმაჩნია. გრძელდება ტრადიცია, როცა, „ყოვლისმოცოდნეს“ უნდა კვითხოთ რჩევა, როგორ უნდა ვიცხოვროთ და მან უნდა დაგვაყენოს სწორ გზაზე.

ჩემი აზრით, სტალინიზმი ყველაზე შორს არის ქრისტიანობისგან, რომელიც აგებულია ადამიანთა თანასწორობაზე. მე მინდა ვუპასუხო იმ კითხვებს, რომლებიც ჩვენ უპასუხოდ დავტოვეთ. ამ წიგნის გმირებიდან ერთ-ერთმა, ქ-ნმა მარინა ჯიქიამ ბრძანა, რომ ნაპოლეონისგან განსხვავებით, სტალინმა მოკლა კულტურა. ჩემი აზრით, სწორედ სიტყვა „კულტურა“ გაგვაცემინებდა დღეს ბევრ კითხვაზე პასუხს. მაგალითად, პაატას კითხვაზე, რომელიც აფხაზეთს ეხებოდა. ამ კითხვამ განარისხა ადამიანები, და მათ თქვეს, რომ ასე არ ყოფილა. თუმცა, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ სხვა საქმეა, რომ ჩვენ ეს არ გვსიამოვნებს. თქვენი პასუხი, რომ სტალინმა ამ დროს 12 ათასი ქართველი ოჯახი გადაასახლა, ასევე სიმართლეა. მაგრამ საკითხავია, ვის ასახლებდა, ვინ იყო მსხვერპლი და ვის გამრავლებას და დასახლებას, უწყობდა ხელს. ეს, ჩემი აზრით, იყო ტოტალიტარიზმის სწორედ ისეთი გამოვლინება, როდესაც დიქტატორმა კულტურას, აზროვნება, აზრთა სხვადასხვაობას გამოუცხადა ომი. მე არ ვაპირებ ლენინის ადვოკატობას, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას. 20-იან წლებში, ვიდრე სტალინი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა, საბჭოთა კულტურა ყვაოდა, და ის იყო ავანგარდი მთელ მსოფლიოში. ლენინს, ტროცკის, ბუნარინს და სხვებს ჩვენ ყველანი ჯალათებად მოვიანებთ, მაგრამ მათ კულტურა არ მოუკლავთ. პირიქით, 20-იანი წლების დასაწყისი იყო დისკუსიის, აზროვნების, კულტურის, მიმართულებების, სტილის ეპოქა. სწორედ სტალინის მოსვლის შემდეგ დაიწყო ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. ქრისტიანობის იდეა, თანასწორობის, ჰორიზონტალის იდეა შეიცვალა აბსოლუტური ვერტიკალით და აბსოლუტისმით მთელი თავისი რიტუალიზაციით.

ჩემი აზრით, დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში არის ნოსტალგია სწორედ ამ ვერტიკალისკენ. საბედნიეროდ, შესაძლოა, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ვერტიკალის თავში მოხვედრის სურვილი აქვთ, ერთმანეთში ვერ გაარკვიონ ურთიერთობა და ერთმანეთს წაეჩხუბონ, ამაზეა – გია ნოდის წერილი, რომელიც ჟურნალ „ლიბერალიზმი“ გამოქვეყნდა.

ჩვენ შესაძლოა, ამ თემას მომავალში კვლავაც დავუბრუნდეთ და შეკითხვას, თუ რატომ არ სურს საზოგადოებას ამ თემაზე მსჯელობა, იმით ვუპასუხოთ, რომ ჩვენ აუცილებლად განვავრდით ამ თემაზე საუბარი. ვფიქრობ, ეს უკვე მომავალ წელს მოხდება, შესაძლოა, ეს თემა მომავალში კიდევ უფრო აქტუალური იყოს, ვიდრე დღეს არის. ძალიან დიდი მადლობა მობრძანებისთვის. დისკუსია დასრულებულია.